



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 30.06.2023 წ. N36 დადგენილებით

### რექტორის სათათბიროს დებულება

#### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. რექტორის სათათბირო წარმოადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტთა და პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს, რომელიც იქმნება რექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.
2. რექტორის სათათბირო წარმოადგენს საუნივერსიტეტო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში უდიდესი წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს.
3. რექტორის სათათბიროს შემადგენლობაში არიან სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები.
4. რექტორის სათათბიროს ხელმძღვანელობს რექტორი.
5. რექტორის სათათბირო ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებითა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით.
6. რექტორის სათათბირო მჭიდროდ თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან, სტუდენტურ თვითმმართველობასთან, პროფესიულ სტუდენტთა გაერთიანებასთან.

#### მუხლი 2. რექტორის სათათბიროს მიზანი

რექტორის სათათბიროს შექმნის მიზანია საუნივერსიტეტო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის კონცეფციიდან გამომდინარე ისეთი გარემოს შექმნა სადაც უზრუნველყოფილია სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების/ ახალგაზრდების/ ბავშვების აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში რათა ხელი შეუწყოს, მათი აქტიური და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

#### მუხლი 3. რექტორის სათათბიროს პრიორიტეტები

1. რექტორის სათათბიროს პრიორიტეტებია:

1. მოხალისეობრივ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების/ახალგაზრდების/ბავშვების ჩართულობა;
2. ახალგაზრდული ინიციატივების/პროექტების მომზადება;
3. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა.
4. ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუციის ჩამოყალიბება.
5. არაფორმალური განათლების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

6. მოზილობის აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა;
7. ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
8. სტუდენტების/პროფესიული ტუდენტების/ახალგაზრდების/ბავშვებისთვის რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა.
9. სტუდენტების/ პროფესიული სტუდენტების/ახალგაზრდების/ბავშვების ეკონომიკური გაძლიერებაზე ზრუნვა
10. განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა
11. ახალგაზრდების დასაქმებისა და სამუშაო ძალაში მონაწილეობის გაძლიერება
12. ახალგაზრდების დასაქმებისა და სამუშაოზე მიღების მხარდაჭერა
13. ახალგაზრდებს შორის მეწარმეობის დონის ამაღლებას, სამეწარმეო განათლების ხელშეწყობის გაძლიერება.
14. ცენტრალურ და მუნიციპალიტეტების დონეზე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან/უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობა ახალგაზრდული პოლიტიკის მართვის პროცესში.

### მუხლი 4. დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

რექტორის სათათბიროს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.